# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 16.—1914 ფასი 10 კ. კვირა, 22 ივნისი.




**ვალერიან გუნია**

პროვინციაში წარმოდგ. გასამართავად გამგზავრების გამო




**ყოველკვირული სამხატვრო-სალიტერატურო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით.**

ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი.

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ—კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი და მხატვარ-ხელოვანნი.

**ჟურნალის ფასი**: წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელისმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

**ხელისმოწერა მიიღება**: ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე.

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე Тифлисъ, ред. жур. **„Театри да Цховреба"** Іосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 7-95.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

**თემი** **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი გამოდის ორშაბათობით**

**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთვის**

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ **2** საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება **აკაკის** პოემა **„რაჭა-ლეჩხუმი"**, რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის, ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) **ნ. ა. დუბროვსკის** თხზულებას **„ავგუსტ ბებელი"**, რომელიც საკუთრად „თემი"-სათვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემი"-ს რედაქციაში (ოლგას ქ. სახ. დიასამიძისა, № 4).

**ფასი გაზეთისა**: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

მისამართის გამოცვლა თბილისს გარეშე 40 კ.

მისამართი: Тифлисъ, Ольгинская № 4, д. Діасамидзе, редакція газ. „Теми".

რედ.-გამომცემელი **გრ. დიასამიძე**

---

**იმერეთი** **ყოველდღიური სალიტ.-სალ. გაზეთი**

ახალ რედაქციით და თანამშრომლებით

**გაზეთის ფასი**: წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით—4 აბაზი, ცალკე ნომერი 5 კაპ.

საზღვარ გარედ წლიურად 15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება.

**მისამართი**: Кутаисъ, ред. газ. „Имерети".

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჩელიძე**

---

**შრომა** **სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორშაბათობით.**

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი**: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома"




№ 16

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ. დრ. საზ. კანტორაში და „სორაპანი“-ს სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, Грузинскій Театръ, ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-95, სტამბისა — 15-41.

№ 16 — კვირა, 22 ივნისი — 1914 წ.

## 22 ივნისი.

**სიტყვა და საქმე.** „სიტყვა თვინიერ საქმისა მკვდარ არს“, ბრძანებს წმ. სახარება და ეს მცნება ისე ზედგამოჭრილი არც ერთ საქმეზე არ არის, როგორც თეატრზე. თეატრში მარტო სიტყვით დიდ მანძილს ვერ გაივლით,—აქ საჭიროა საქმეც—მოქმედება, მოძრაობა. თეატრი ცოცხალ საქმედ არის მიჩნეული და ასეთს კი ცოცხალი ადამიანები ეჭირვება. „სხვათა შორისი მოღვაწენი, სხვათა შორისი მუშაკნი“, როგორც ეს მოსწრებულად აღნიშნა ერთს თავის სიტყვაში რეჟისორმა ბ მა წუწუნავამ, სწორედ სასცენო საქმეში არ გამოდგებიან...

„სხვათა შორისი მოღვაწენი“ და ნამდვილი მოსაქმენი, სიტყვისა და საქმის ხალხნი პირისპირ შეხვდენ ერთმანეთს ქართულ სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე; პირველნი რო იძახოდენ: „მერე, მერე, შემდეგისათვის გადავსდოთო“, მეორენი—„ახლავე, ამ თავითვე შევუდგეთ საქმესო“; პირველთ ბანაკში იყვნენ სხვადასხვა საქმეებით დატვირთულნი, მოღლილნი, მეორეში—ახალგაზდანი, სიცოცხლის წყურვილით დამაშვრალნი, მხოლოდ სასცენო საქმით მსუნთქავნი...

და რამდენად უფრო მალე ჩამოეცლებიან საქმეს პირველნი, და მეორენი შეიქმნებიან საქმის ბატონ-მესვეურნი, იმდენად უფრო ჩქარა განვითარდება ჩვენი სასცენო ხელოვნება...

ისტორიული აუცილებლობა, დღევანდელი მწვავე მდგომარეობა გვაიძულებს მხოლოდ სიტყვებით, მრავალსართულიან დადგენილება-რეზოლიუციებით არ გაციბრუოთ თავი,—საჭიროა მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ძალნი, სულიერი ავლადიდება შემოვიკრიბოთ და უკვე ოქმული საქმედ ვაქციოთ ..

სასცენო ენის გაფაქიზება, დრამატიულ კურსების მოწყობა, საპენსიო კასის დაარსება, მოხუც მსახიობთა უზრუნველყოფა (საქმით და არა მხოლოდ სიტყვით), სახალხო რეპერტუარის შექმნა და სხვა მრავალი ისეთი კითხვებია, რომ მათი საქმედ ქცევის დაყოვნება, ჩვენი უკუსვლა, ჩამორჩენა და გაქრობა იქნება. .

დედა-ქალაქისა და დაბა-სოფლის მოღვაწენი, ამერი და იმერი, გლეხი და თავადი ამ საქმეში უნდა გავერთდეთ და ჩვენის სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე გამოთქმული კარგი სურვილები ბრწყინვალე საქმით დავაგვირგვინოთ... ამ საქმეში არაა არცა ელინი, არცა რომაელი, არცა ებრაელი,—არამედ ყველანი პოლიტიკურ რწმენა-მიმართულების განურჩევლად - ხელოვნების მოტრფიალენი ვართ და მისი ამაღლება-განვითარებით უნდა მივაღწიოთ ჩვენის ქვეყნის ამაღლება-განვითარებას ..

განსაკუთრებით დაბა-სოფლის სასცენო მუშაკთ უნდა გამოიჩინონ უნარი და გაორკეცებლის შრომით შეუდგნენ ამ მიზანთა განხორციელებას...

ქართულ სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობის სხდომათა ანგარიში და დადგენილებანი შემდეგს ნომერში დაიბეჭდება.

# პირველი სიტყვა

(ქართულ სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე 8 ივნისს წარმოთქმული დრამ. საზ. თავჯდომარის მიერ)

მე არ შევუდგები იმის გამორკვევას, თუ რა არის თეატრი ისტორიულად, რა მნიშვნელობა აქვს მას საზოგადოდ, ან და რა ადგილი უჭირავს მას კაცობრიობის სულიერ კულტურაში; ეს თემა აღემატება ჩემს ძალღონეს და არც შეადგენს საგანს ჩემი სიტყვისას. მე მსურს მხოლოდ თეატრს შევეხო იმდენად, რამდენადაც მას აქვს დამოკიდებულება ეროვნულ კულტურასთან, ეროვნულ თვითშეგნებასთან, გაჩვენოთ თეატრის შემოქმედებითი როლი ამ კულტურის განვითარებაში. ისტორიულმა აუცილებლობამ, თუ ბრმა შემთხვევამ შთანთქა ჩვენი ეროვნული თვითარსებობა. ქართული ენა განიდევნა სასწავლებლიდამ და თვით ოჯახიდანაც-კი. ენა წახდა, დაეცა, „ჩირქი მოეცხო ტაძარსა წმიდასა“. და, აი, ამ დროს საქართველოს მხსნელად ეროვნულ კოტრობისაგან გამოვიდა თეატრი; პირველად აქ გაისმა საჯაროდ ქართული... იგი გახდა ქართულ ენის ტრიბუნად. თეატრმა გასწია სკოლის, მქადაგებლის მაგივრობა, თეატრმა გაუღვიძა ქართველს იმედი აღორძინებისა.

რომელი პუბლიცისტური წერილი, ან რომელი მხურვალე მოწოდება იქონიებდა იმისთანა გავლენას, როგორიც იქონია პირველად დადგმულმა „სამშობლომ“. ხალხს ამ პიესაში მოაგონდა თავისი წარსული; ხალხმა ამ გვარ პიესების მეოხებით ისურვა უკეთესი მომავალი, ეს იყო დასაბამი მისი ეროვნული აზროვნობისა და თვითშეგნებისა.

დიახ, ბატონებო, ჩვენი თეატრი გახლავსთ ის ტაძარი, რომელშიაც ინახება ღვთაებრივი უქრობელი ცეცხლი საქართველოს სულისა, ტაძარი, რომელმაც გადაარჩინა გაქრობასა და დაღუპვას დედა-ენა. თეატრი იყო და არის ჩვენთვის პირველდაწყებითი და უმაღლესი სასწავლებელი. ჩვენი ხალხი გრძნობს თეატრის სიდიადეს და ამიტომაც არაჩვეულებრივი პატივისცემით უყურებს მის ქურუმებს.

უცხოელებს უკვირთ, როდესაც ხედავენ იმ პატივისცემას და ზეიმს, რომლითაც ვუმასპინძლდებით ნიჭიერ მსახიობებს იუბილეის დროს; იმათ არ იციან, რომ ჩვენთვის თეატრს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენი მსახიობნი იგივე საზოგადო მოღვაწენი არიან, რომელნიც გმირულად სიმშილის და წუწურვილას გზით მიდიან წინ, რათა მშობელ ერს გაუღვიძონ გულში მიმქრალი ცეცხლი, დაუყუჩონ სულის ტკივილები და აზიარონ მაღალ ესთეტიურ სიტკბოებას. აი მიზეზი იმისა, თუ რად უყვარს ქართველს თავისი მსახიობი

დღეს საქართველოს ყველა კუთხიდან მოიყარეთ თავი სამშობლოს სცენის გულშემატკივარნო, რათა გაუზიაროთ ერთმანეთს თქვენი შთაბეჭდილებანი, გააუმჯობესოთ სათაყვანებელი საქმე, შეჰქმნათ საერთო გეგმა მოქმედებისა, რომ დაბრუნებისას უფრო გაამშვენიეროთ სამსხვერპლო და საკურთხეველი ჩვენი შუქმფენ ტაძრისა.

ბატონებო, ამ 64 წლის წინათ ნეტარხსენებულმა გიორგი ერისთავმა პირველმა მოაწყო ქართული წარმოდგენა, ამ 34 წლის წინათ მისმა შვილმა, ნიჭიერმა დრამატურგმა, დავით ერისთავმა პირველმა მიიღო მონაწილეობა ქართ. დრამატ. საზოგადოების დაარსებაში, და, აი, დღეს, მე, მათ თანამოგვარეს, ბედმა მარგუნა საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველ კრების გახსნისა. ეს წამი უტკბესი და უმშვენიერესია ჩემ სიცოცხლეში. გილოცავთ დღევანდელ დღესასწაულს და გისურვებთ ნაყოფიერ შრომას და ამ სურვილებით და ჩვენი თეატრის მამამთავართა კურთხევით ვხსნი კრებას.

**თ. ნ. დ. ერისთავი**

# დაგლოცა?

ფსიხოლოგიური ეტიუდი

საღამო ხანია. გაზაფხულის ჩამავალი ნორჩი მზე ნაზად უალერსებს ბუნებას და ნელნელა ჰკრეფს გაფანტულ სხივებს. ყველგან სიცოცხლეა; ქალაქის განაპირას მდებარე სასაფლაო ერთად-ერთი კუთხეა, სადაც გამოღვიძებულ ბუნებას სიკვდილის ფერი აძევს.

ამ სასაფლაოს ალაყაფის კარს მოადგა ახალგაზრდა ქალ ვაჟი, ესენი არ ლაპარაკობენ, მაგრამ ცხადია, რომ მათ ეღვიძებათ გულში დიდი გრძნობა, თუმცა დიდის ხნის




**გრიგოლ ორბელიანის ძეგლი**

მოძღვარი იაკობ ნიკოლაძისა

---

ნაცნობები არ არიან. შევიდნენ ეზოში: აქ გულმოდგინებით თლილი უზარმაზარი ქვები, ჩუქურთმიანი ჯვრები, მედიდური აკლდამები უსიტყვოდ მოგვითხრობენ ხელოვან-შემომქმედთა წმიდა შრომას. განა უცნაური არ არის ეს სილამაზე სიკვდილის სამფლობელოში, როდესაც სიცოცხლისას უშნო სინამდვილე სუფევს? ან რისთვისაა საჭირო მძიმე ქვის ლოდი მისთვის, ვისი სულიც და ხორციც სამუდამოდ ულმობელ სიკვდილის ხელშია?

— დაჯექი აქ სადმე პატარა ხანს, მე ვნახავ დედის საფლავს და მალე დავბრუნდები! — ეუბნება ქალი ვაჟს.

ვაჟი ჩამოჯდება უსიტყვოდ ხის სკამზე და მიეცემა ფიქრებს... გავა რამოდენიმე ხანი. დაბრუნდება ქალი და მოუჯდება ვაჟს გვერდით. მტანჯავი სიჩუმეა... მესაფლავის მამალი ზახიან ხმით დაიყივლებს და ამით აუწყებს აქ მყოფთ, რომ სიკვდილთან ერთად სიცოცხლეცაა.

— დასტკბი ლაპარაკით დედასთან? — შეეკითხება ვაჟი მშვიდად.

— რა იცი შენ, რომ მე ველაპარაკები ხოლმე დედას? .

— დავლოცე დედამ, ქალო? — განაგრძობს კითხვას ისევ წყნარად ვაჟი.

— ოხ, ძვირფასო! ჩემი გული შენთვის ყოფილა, რომ ესე ადვილად კითხულობ მასში!..

ლაპარაკი სწყდება... შეყვარებულნი ჰშორდებიან სასაფლაოს, მაგრამ წამ-და-უწუმ ჩერდებიან და იყურებიან უკან, თითქოს ყურს უგდებენო საიდუმლო ხმას, რომელიც მოსდევს მათ და ლაჟინებით იმეორებს: „სიკვდილთან ერთად სიცოცხლეცაა“!

**დავ. კილოსანიძე**

## კომპოზიტორ დ. არაყიშვილის მუზა

(რომანსები)

ჩვენს წინა წერილში (№ 13) ბ. არაყიშვილის მუზას „ნაზი მუზა“ ვუწოდეთ და რაც მეტს ვისმენთ მის რომანსებს და ვაჩვევთ მათ ყურს, ეს აზრი უფრო მტკიცდება. 7-ს ივნისს მოსმენილმა მისმა რომანსებმა, როგორც ახლად გაგონილმა, აგრეთვე მათ, რომელნიც მეორედ და მესამედ გვსმენია, დაგვიმტკიცეს, რომ ბ. არაყიშვილის ლირა, რომანსებად ჩამოსხმული, არც ისე აბუჩად ასაგდებია და დასაწუნი, როგორც ეს ბევრსა ჰგონია.

ბ. არაყიშვილი ჩვენთვის ახალი ხილია, ხილი ჯერედ შეუჩვეველი, მაგრამ ამასთანავე თავისებური და ძლიერი. მის ქნარს დიდი დაკვირვება უნდა, ჩვენ გულში გადადუღება და შეჩვევა.

ბევრისაგან გამიგონია, რომ ბ. არაყიშვილი რომანსებში ძალიან სუსტიაო და უფერული; მაგრამ სწორედ იქ, სადაც სხვებს მიაჩნიათ

იგი სუსტად და უფერულად, ჩვენ მიგვაჩნია მძლავრად და მრავალფეროვანად.

ჩვენი სმენა აღზრდილი და შეჩვეული არის ერთგვარ რომანსებს, რომელთაც რუსულად შეგვიძლიან ვუწოდოთ „бравурныя вещи". ასეთი რომანსი მიმართულია ხმის მრავალფეროვან ტრიალზე, მაღალ ფარდებში კამათზე! იგი სმენას აღიზიანებს, მაგრამ გულს-კი ვერა ხვდება, გული ობლად რჩება. ჩვენი სმენა შეჩვეულია ისეთ რომანსებს, სადაც გამოიხატება ყვირილი, ტირილი და ცრემლთა ფრქვევა, ნამდვილი სულიერი დრამა კი მასში არ სჭვრეტს.

სულ სხვაა ზ. არაყიშვილის რომანსი. მისი რომანსი წარმოადგენს ნამდვილს სულიერს დრამას; ყოველივე მისი ხმა გულის სიღრმიდან არის ამონახეთქი, ამონახეთქი მაშინ, როდესაც მის სულის კალაპოტმა ვეღარ შეიკავა თავისი ნაღველ-დარდი და ზევით ამოხეთქა. ზ. არაყიშვილის ბიოგრაფია ჩვენ სრულებითაც არ ვიცით, მაგრამ მისი რომანსების გაცნობის შემდეგ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მისი ცხოვრება ნარ-ეკლით იყო მოცული, რომელნიც მწვავედ სჩხვლეტდნენ მის შიშველს ფეხებს. მაგრამ მისი რომანსებიდან ისიც გამოსჭვრეტს, რომ ზ. არაყიშვილი არ არის ლაჩარი; იგი გმირია, სულიერად ძლიერი. მას რომ ცხოვრების ეკლები სჩხვლეტენ, იგი არ სტირის, არ ყვირის, ყოველივეს ითმენს, როგორც გმირი იმ იმედით, რომ ცხოვრება ცვალებადია, რომ დადგება დრო, როდესაც მასაც გაუღიმებს ბედი და მისი სავალი გზა ეკლის მაგივრად ვარდით იქნება ფენილი.

ყოველი მისი რომანსი ამ სულიერ ძლიერებით არის მდიდარი; მის გულში საშინელი დრამა ტრიალებს, დრამა მწვავე და გულჩამთუთქავი, მაგრამ, ვიმეორებ, იგი არ ტირის, არ ღრიალებს, არც სასოწარკვეთილებას ეძლევა, მომავალის იმედით არის მოცული: იგი ებრძვის ამ სულის ტანჯვას, იქარწყლებს ვარამს; იგი ტუჩებს დაიკვნეტს, დაიღმუილებს, როგორც დაჭრილი ლომი, მაგრამ პირს არ დააღებს დასაყვირად და სატირლად.

სწორედ ამითი აიხსნება, რომ ზ. არაყიშვილი თავის რომანსებში ასე ზომიერად გვეჩვენება; იგი არც ზეცაში არის და ღმერთს არ შეჰღრიალებს მიშველეო, არც ქვესკნელში ჩადის და არც ებრძვის ტარტაროზებს ამაცდინე ტანჯვაო; თავის მხსნელად ზ. არაყიშვილს მარტო თავისი თავი მიაჩნია და იქ, სადაც მას სულიერი ვარამი ვეღარ მოუნელებია, იგი აჟღერებს თავის ნაზ ქნარს იმედიანს და იქარვებს ნაღველს ბედნიერ მომავალით.

ზ. არაყიშვილი პირველი მერცხალია, რომელმაც, ქართულ მუსიკის გაშუქებასთან ერთად, შემოიტანა თავისი საკუთარი ქნარი, შეჰქმნა თავისი სტილი, სტილი-კი არის პიროვნების მარტოდ მარტო სულის საკუთრება, სალარო.

ზ. არაყიშვილის რომანსი თავისებურია, მისი მელოდია გულსაკლავია, მაგრამ ამასთანავე მედიური. ზოგს კი არ მოსწონს მისი მელოდია. ჩვენ ამაზედ არავის ძალას არ დავატანთ და არ ვაიძულებთ, გინდათ თუ არა მოიწონეთ მისი მელოდიაო. რიხ. ვაგნერი უდიდეს კომპოზიტორად ითვლება დუნიაზე, მაგრამ მისი მელოდია ერთი ასად უფრო ღარიბია ზ. არაყიშვილის მელოდიაზე.

მაგრამ რაც უნდა ღარიბი ეგონათ ზოგიერთთ ზ. არაყიშვილის მელოდია, ჩვენ თამამად ვიტყვით, რომ ისეთ მოხდენილ და — ლამაზ აკომპანიმენტით იგი აქვს შეკაზმული კომპოზიტორს, რომ მისი რომანსები სუყველთვის სასიამოვნო მოსასმენია.

დანარჩენი შემდეგ.

**გ. საყვარელიძე**

## „შენ—მე შემიყვარებ"...

(მეგობრის ნაამბობი)

**ძლვნად მოლითის მიდამოებს.**

**1**

მაშინ მხოლოდ თექვსმეტი გაზაფხულის ნაყოფი ვიყავი. . თექვსმეტი გაზაფხულის სიკეკლუცე განვლილი მქონდა... თექსმეტჯერ განცდილი მქონდა გაზაფხულის სინარნარე... უდარდელობა მაჩუქა თექვსმეტმა გაზაფხულმა, ამიტომ ვხტოდი მაშინ, ამიტომ ვიყავი გიჟი, ვით ჩანჩქერი, ცელქი ვით ციყვი.. ჰო, თექ-



მ. ვიქტორელი

. ზარდალიშვილი ი. გრიშაშვილი

წარმოდგენების გასამართავად კახეთს გამგზავრების გამო

ვსმეტი გაზაფხულის ნაყოფი ვიყავ მაშინ, როცა პირველად ვნახე გიჟი მდინარის პირას—ის, ვინც სევდით იყო მოცული. იგი ოცდახუთის წლის იქნებოდა., ოცდახუთ წელს მისთვის, ალბად, მხოლოდ სევდა მიერთმია და მთელი მისი არსება სევდით მოეცვა.

დიაღ, ვნახე და გულმა ტოკვა დამიწყო...

მაშინ, როცა ნუკრივით დავხტოდი, ციყვივით მოუსვენარი ერთი ქვიდან მეორეზე—გადავრბოდი, წყლის შაშვებსა და ბოლოქანქალებს ქვებს ვესროდი... მაშინ მოვატანე თვალი იმას და შევჩერდი...

მაშინ, როცა ღიღინითა და კისკისით—მდინარის ჩუხჩუხს ვაჯავრებდი, ჩემი თვალები მის სევდიან თვალებს ჩაექდო და შევკრთი... ენა ჩამივარდა. .

მისი სევდიანი თვალები გულში ისარივით მომხვდა და აქამდე უდარდელს ოხვრა მომტაცა.

მე გავშეშდი.. იგი მდინარის დუდუნს ყურს უგდებდა... მე კი—მინდოდა მისი გულის ფეთქის ხმა დამეჭირა... მომექსოვა მისი სევდის ძაფებიდან ტრფობის ბადე, შიგ გავეხვეულიყავ და ჩიტივით ფართხალი დამეწყო...

ასული ამასობაში ზეზე ადგა. ტანსაცმელი გაისწორა და მდინარეს ზევით შეჰყვა...

მე კი გაშტერებული დავრჩი... დავრჩი და მდინარის ანკარა ტალღებში ვეძებდი მის ხატებას... მის დუდუნში ვცდილობდი ამომეკითხა მისი სევდა...

2

გავიდა ხანი. ასული კიდევ შემხვდა ტყეში.. მოსეირნეს... მე სევდით ვიყავი მოცული... სევდა გულს მიღრღნიდა.. ის კი—უდარდელი ბუჩქებში ყვავილებს კრეფდა... მე ოხვრას არე-მარეს ვუზიარებდი, ის კისკისით ჩიტებს ეჯიბრებოდა.. მე მდელოზე ხის ძირას მივჯექ.. იგი მომიახლოვდა.. ლაპარაკი დამიწყო.

იცინოდა, თვალებში მომჩერებოდა... მე მიწას დავაშ ერდი, იგი კი მხიარულად მეპაასებოდა.. იქვე ჩამოჯდა

უცებ შევკრთი.. არ მომეწონა მისი ლაპარაკი..

ნუ თუ ჩემს წინაშე ის სევდის ასული დგას, რომელიც მდინარის პირას ვიხილე?. შევკრთი .. ნუ თუ ეს ის ასულია, რომელმაც ერთ დროს ჩემს გულში ჯადო სიყვარულის ნემსები ჩაუშო?!

უცებ იგი ზე წამოდგა. პეპლებს გაეკიდა... მერე ჩიტები დააფრთხო.. მე ვკვირობდი... ჩემი გულიდან იგი თანდათან იღებდა სიყვარულის ნემსებს...

სულმა ტკივილი იგრძნო... ნუ თუ შესცდა ჩემი სული .. გავიფიქრე და რაღაც ზიზლი ვიგრძნე უდარდელ ასულისადმი...

უცებ მან ჩემთან მოირბინა... კისერზე ჩამომეკიდა..

—იცი შენ? მე გათხოვილი ვარ—ხუთი წლის ქალიცა მყავს. მე უფრო შევკრთი...

—მაგრამ იცი... მე შენ მიყვარხარ!

მე ავენთე... ხელი ვკარი... ტირილი მომივიდა...გამოვექანე...„შენ—მე შემიყვარებ..“ მომესმა ხმა და მერე სატანისებური ხარხარი...

3

გავიდა ამის შემდეგ თორმეტი წელიწადი... 27 წლის ვიყავი, როცა კიდევ მოვხვდი ძველ ადგილს.. მდინარისკენ ჩავიარე.. მინდოდა ის ადგილი მენახა, სადაც ამ თორმეტი წლის უკან პირველი სიყვარული ვიგრძენ.. მიუახლოვდი ძველ ადგილს... შევკრთი.. ჩემს თვალწინ ის ასული იდგა, რომელმაც ერთ დროს ჩემი გული აატოკა... იგი რაღაც ამაღლებულს ყვავილებით ამკობდა... უსაზღვრო სევდა გამოიხატებოდა მის თვალებში. ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა თვალებიდან და ამაღლებულ მიწას რწყავდა...

თავი დავუკარი. მან სევდიანი, შავი თვალებით გადმომხედა. შემეკითხა:—დედას საფ-

ლავს ხომ არ ეძებთ?.. დღეს წლის თავია მისი გადაცვალებისა... — დიახ, აქ დედაჩემი მარხია, განაგრძო ასულმა.. იგი ამ 12 წლის წინად თურმე აქ ამ ადგილიდან მდინარეში გადაეშო... თავი დაიხრჩო და აქ დაუსაფლავებიათ მისი სურვილისამებრ...

მე.. გაყვითლებული ვიდექ: მივხდი... მივხდი ყველაფერს და თავი დავხარე. ასულს მივაშტერდი... იგი... იგი იყო, რომელიც ჩემს გულს აღელვებდა... ვიგრძენ მისი სიახლოვე, მისი უხილავი ძალა, რომელიც ერთ დროს საუკუნოების გადაღმა ალბად მტანჯავდა..ალბად ჩემი სული ოდესმე მისი სულის ნაწილი იყო...

დავაკვირდი, იგი კვლავ მოწყენილი დედის საფლავს რთავდა...

**4**

გავიდა ხანი. მე შევიყვარე სევდის ასული.. ყოველ დღე დავიარებოდით მისი დედის საფლავზე და ყვავილებით ვამკობდით... დავსხდებოდით მდინარის პირას და დიდხანს ვმუსაიფობდით. და ერთ საღამოს, როცა ჩვენი ტუჩები შეერთდა, გამახსენდა მისი დედის სიტყვები: „შენ — მე შემიყვარებო“..

მართლაც, ახდა მისი სიტყვები... მე შევიყვარე ის — შევიყვარე მისი ასული, რომელიც მაგონებდა პირველად ნახულს სევდის ღვთაებას..

**დია ჩიანელი**

## კიკნა პოემები

**1**

**შორით ტრფიალი**

**თ-ს**

არ დაგიახლოვდები, სულის დგმაო, არ დაგიახლოვდები. დარჩი მაგრე საიდუმლოებით მოცული.

შორიდან გეტრფიალები, შორიდან მოგასმენ სიყვარულის სიმღერებს

შორს, შორს წავალ შენგნით, შორს გადავიხვეწები, რომ მარადის თავ-დავ წყებით მიყვარდე.

დაგშორდები, დაგშორდები, სიზმრის ღიმილო. დაგშორდები იმიტომ, რომ არ მპსურს გამკრთალდეს ჩვენი ტრფიალი

ძვირფასია მხოლოდ შორეული. ხომ იცი: დემოფონტი სანამ თვისს ტრფიალთან — ფილიდასთან — იყო, უკანასკნელი მაინც და მაინც არ გრძნობდა მისდამი მხურვალე სიყვარულს, მაგრამ მსწრაფლ აპრიალდა ტრფობის ცხოველ ალით, როდესაც კი დაშორდა იგი.

მეც დაგშორდები, შორს მთას იქით გადავიხვეწები, რომ მუდამ გეტრფიალო.

ვარსკვლავნიც ხომ შორიდან ეტრფიალებიან ერთ-ურთს. აგერ, ერთმა მოიწადინა მეორესთან დაახლოვება, მოსწყდა თვისს ადგილს და... საბრალო!. თვისი ტრფიალის ნაცვლად ბნელ-ყურყუმმა კი ჩაიხუტა..

არა, არ მოვალ შენთან... ვერ დაგკარგავ სამარადისოთ ..

**II**

**რა ვიცი რად შეგიყვარე?**

ჩემო ზღაპარო, შეღონებული რომ მისაყვედურებ: რად შემიყვარეო, ვით გიპასუხო?

განა იანი აგიხსნიან, თუ რად იხიბლებიან ანცი ნაკადის ლიკლიკითა?..

განა ბულბულისგან შეიტყობ თავ-დავიწყებით რად უგალობებს კოკობს ვარდსა?

მაშ მე რად მეკითხები ტრფობის მიზეზს? ჰკითხე შენს გულსა, მკერდის ქვეშ უჩრდილო ნეტარებით რომ ათრთოლებულა.

ჰკითხე შენს თვალებს, ვარსკვლავთა სიკამკამით რომ შეეზხებულან...

იქნება მათ გიპასუხონ...

**დ. თურდოსპირელი**

### დაბა-სოფლის სასცენო მოღვაწენი



სტ. გ. ნოზაძე
(ფონ-ტეფო)

1 მარტს 1914 წ. ქ. ხაშურ-სურამის დრამატიულმა წრეებმა და მთელმა სცენის მოყვარეებმა, საზოგადოების გულმხურვალე მონაწილეობით დიდის ამბით გადაუხადეს 25 წლის პროვინციის ქართულ სცენაზე სამოღვაწეო დღესასწაული დამსახურებულ სცენის მოყვარეს, სულ უბრალო ოჯახიდან გამოსულს და უბრალო სამსახურში მყოფ ბიძია სტეფანე გიორგის ძე ნოზაძეს. მიართვეს მრავალი საჩუქარი და ადრესი. გარდა სასცენო მოღვაწეობისა, ბიძია სტეფანეს ჩვენს ღარიბ სალიტერატურო სალაროშიაც შეაქვს თავისი წვლილი და მის შინაარსიანი და მდაბიო ენით დაწერილი ლექსები, დიდს ყურადღებას იქცევს. სტ. ნოზაძე ამ ჟამათ 55 წლისაა და სცენაზე ძველებურის გატაცებით ღებულობს მონაწილეობას.



**პლ. ირ. ლეჟავა**

ქიათურის დრ. საზ-ის წარმომადგენელი ქართველ სცენის მოღვაწეთა პირ. ყრილობაზე.



**ივ. ახალშენიშვილი**

(ინ-ანი)—ცნობილი მთარგმნელი იბსენის პიესებისა და სხვათა.

# რას დამტიროდა?

(სხვადასხვაობა)

ბულბული დაბრმავდა, საშინელის უჩვეულო სიბრმავით. ის თუმცა დაფრინავდა ქვეყნიდან ქვეყნად, გადაივლიდა ათასს ზღვას, მთებს, კლდეებს, გზას არ სცდებოდა, დანიშნულს ადგილს დაუბნევლად აღწევდა. უცქეროდა მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, ამწვანებულ მდელოს თუ გადატრუსულ ველებს, ყველაფერს არჩევდა თვალთა ხედვით, მაგრამ მის სიბრმავეს მაინც არ უჩნდა ბოლო. ის ყველგან და ყველაფერში ხედავდა მხოლოდ თავის გულის სწორს, თავის გრძნობების ამმოძრავებელს ხავერდის კოკორს, რომელიც გაზაფხულის ერთ ნამიან დილას ჯერ ძილისგან სრულიად არ გამორკვეულიყო, ნელ სიოზე ოდნავ ირხეოდა და ტუჩებზე მარგალიტათ დაბკურებულ ცვარს უშრობდა კეკლუცი ღიმილი; ეს ღიმილი კი იყო გამოწვეული ძილში ჩასმენილ მომჯადოებელ რაღაც ხმისაგან.

კოკორი გაიშმუშვნა, თვალი გაახილა, სულ გამოფხიზლდა, და გადახედა წალკოტს, ბევრი იყო მისი მონათესავე, მაგრამ მისთანა ახალგაზრდა, ნორჩი, წარმტაცი კი არ ერია. იგრძნო თავის სისრულე, ლაღად გადიხარ-გადმოიხარა, სიამოვნებით გაიზმორა, ეშმაკურათ ჩაუკრა თვალი მახლობლად ბუჩქზე გაბნეულ მზის სხივს; ცელქმა სხივმაც არ დაიშურა თავის ალერსი ამ მშვენიერ ქმნილებისთვის, პირველის კოცნით გაუპო ბაგე, გადაუღელა ალის ფერი გულმკერდი, თავადაც დაიბნიდა, თითქოს ჩააკვდა მის ფურცლებსო, მერე ათრთოლებით დაიწყო ზედ ციაგი და სწორედ ამ დროს შეასწრო თვალი ვაშლის ტოტზე მჯდომმა ბულბულმა ამ დამათრობელ სანახაობას, დაინახა კოკორი მშვენება და დაბრმავდა, დაბრმავდა გონებით.

მზის სხივს კოკორისათვის სად ეცალა? რამდენს ისეთს უნდა შეუშროს თვალზე ცრემლი, ტუჩზე ღიმილი მოჰგვაროს და გული გაუნათოს, და დასტოვა პირველმა სატრფომ. იქვე გაჩნდა ბულბული და დაიჭირა სხვის ადგილი, ახალგაზრდა შეყვარებული უფრო კდემა-მოსილი და მოკრძალებული გამოდგა პირველზე; ის შეეხო. კოკორის ბაგეს, ერთი ფურცელიც არ შეურხრია, მხოლოდ მთელი დღე თავს დასტრიალებდა, რა და რა კილო არ მოუნახა თავის გალობას, რა გრძნობით სავსე ჰანგები არ გადააწნა ერთი მეორეს; დაღამდა, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, სატრფოს სარეცელს არ მოსცილებია, მთვარიანმა ღამემ მეტად აუშალა გრძნობები, უფრო გაუასკეცა სიყვარული და მისწრაფება იმ ერთისადმი...

მეორე დღეც დაღამდა, ხავერდს ნელნელა ეცვალა ფერი. დასრულდა, გახუნდა, ჩქარა დაბერდა და ჩქარა დაუტევა არამცთუ სატრფო, მთელი ქვეყანაც. ბულბულმა მაინც იმ ბუჩქის ძირას გაატარა მთელი ზაფხული, ის ისევ ისე გატაცებით უგალობდა სულის საუნჯეს, რაღა'აც სთხოვდა, ემუდარებოდა, „ერთის წუთით მაინც მოდი, ერთის წუთით მაინც დამიბრუნდიო“. მოსთქვამდა ნაღვლიანის ხმით; ცრემლნარევი იყო მისი ჰანგები, მაგრამ ხანდისხან ისეთს სიმღერას აღწევდა მისი შემოქმედება, ისე ძლიერი იყო, თითქოს ეს არის თვალწინ ჰყავდეს ვისთვისაც ჰქმნის უკვდავს ლექსებსო.

— რა სულელი ხარ ბიჭო, ვის დასჩხავი, მანდ ხომ ცარიელ ბუჩქის მეტი აღარავინ არის, ლამის ეგეც ამოხმეს ძირფესვიანად, ის მოკვდა, არარად იქცა და შენ მის ნაშთს კვლავ შეღაღადებ?..

დასცინოდნენ მეგობრები, თანამემამულენი.

— რა სისულელეს მეუბნებით, ვინა სთქვა, რომ მოჰკვდა? რაა სიკვდილი, მე არ ვი-

# სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა



ვასო აბაშიძე



ვლ. ალექსი-მესხიშვილი



ოსიკო ბარათაშვილი

...მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, ... იცით, ბატონებო, მე რუ-
ბ-ნნო, დრამატიულ საზოგა- სულად როგორა ვსთქომდი, მაგ-
წადით თქვენი სიეზდიცა დაა!.. დოებათა გამგეობის წევრნო... რამ...

---

ცი; ის არ მომკვდარა, ჩემშია, ჩემში სცოცხლობს მე ცხოვლად განვიცდი მის არსებას ჩემს არსებაში, ყოველგან ის, ის და ის... მის მეტი ყოველივე დაჩრდილულია, მაშ ვინა თქვა, რო მოჰკვდა?

შესძახებდა განრისხებული ბულბული მეგობრებს და ასე მიდიოდა დრო... ცოტა ხნობით, ზამთრობით ისვენებდა, მაგრამ რა მოატანდა გაზაფხული, სწორედ ის დრო, როცა ის პირველად ნახა, ბულბულს კვლავ ეშლებოდა მწვავე კაეშანი, ჭრილობა პირს იზამდა, შორიდანვე უძღვნიდა ქებათა ქებას და გულის ფანცქალით გამოსწევდა სამშობლოსაკენ· აქ კი ხვდებოდა გამხმარი ბუჩქი. ის მაინც მღეროდა და ყველგან მას ჰხედავდა.

**მარიამ გარიყული**

## მელნის ტბაზე

შენს თვალთ სხივებს გავყევ შორს, შორს, ლალ ოცნება ანაწყვავი,
წამწამთ ტევრი გადავლახე, ვნების ცეცხლით ანაწვავი;
თხელ ქუთუთოს ნაპირს მოვწყდი, სუნთქვით დავჭერ ნისლი შავი,
და მგზნებარე მელნის ტბაზე შევაცურე ტრფობის ნავი.
მაგრამ ქარი, ეჭვის ქარი, შურის ისრით განამწვავი,
დაეჯახა გიშრის ტალღებს, წამოქოჩრა გიშრის ზვავი;
უფსკრულს ჩამკლა... ზვირთმა კვნესით დაიშალა დალალ-კავი...
(ეჰ! არ ვიცი, აწ ვის მონებს ჩემი კუბო და საფლავი...)

**ცვარ-ნამი**

## „იასონის ოინები“

ვოდევილი ორ სურათად

(დასაწყისი იხ. „თ. და ც.“ № 13—15)

**მაქ.** მაგ დალოცვილს, რათ უნდოდა მაინც თვრამეტი წლის ქალი?

**ივანე** (თეიმურაზისკენ იყურება და ისე) იიმე, მერე რო განახვა, სწორედ ბულკივით აქ ლოყები, ბულკივით. ახია ამაზე! რომ კითხო, ორმოცდათუთხმეტის არა ვარ ჯერო

# პირველ ყრილობაზე მოკრეფილი ყვავილები







**შალვა მესხიშვილი**

... ქართული სცენის"! ბედ-იღბალს მსახიობთა ამხანაგობებს ვერ ჩავუგდებთ ხელში...

**აკაკი ფალავა**

... აისედორა დუნკანი სცენაზე ქვიშას და ნიავს ჰქმნის და ჩვენ რომ მოვინდომოთ, ქარიშხალსა და ქუხილსაც შევქმნით სცენაზე...

**ალ. წუწუნავა**

... მაინც და მაინც... რაფერ ვსთქვა, ღმერთო!..

(დანარჩენი შარჟები შემდეგ ნომერში)

---

და კაი სამოცდამეათეშია, შენმა სიცოცხლემ, და რა მაგისი შესაფერი იყო თვრამეტი წლის ქალი? ღვთის წინაშე და კი არ ტყუის იასონი. ისე არ არი ის ვაჟი მაგისი, რავარც მე ახლა ივანე ნათლიმცემელი არა ვარ. კუკუხოს ვეღარა სძრავს ეგ მამაცხონებული და ვაჟების ყოლა სადა შეუძლია! (თან თეიმურაზისკენ ხშირათ იხედება, მაგრამ თეიმურაზი ხვრინავს) დოლუჟინია, პირწავარდნილი მამაჩემიაო და მამა მისს ისე არა გავს, რავარც მე მზეთუნახავს ახლა არა ვგავარ. პირწავარდნილი არჩილია, გუნცაძე. ქე უყვარდა თურმე ჩემ ქალბატონს ის ყმაწვილი, მარა მშობლებმა ძალით მიათხოვეს ამას, რადგანაც გვარიანი შეძლების კაცია და ქთამი მიცა, შენმა სიცოცხლემ.

**მაქ.** ქალი სწორეთ არ ყოფილა გასამტყუნარი. რა უნდა ქნას აპა ყმაწვილმა ქალმა?

**ივანე.** მე კი ვტმყუნებ მერე? ბებერი რო გამოყრუვდება, რაღა დროს მისი კუნტრუშია და ქორფა ქალები? მარა საცხოვრებელი აქ ბევრი და ის ენანებოდა. ახლა ამის ბალში კი არის მოსული კაი ვაჟიშვილი და რას დეეძებს? ვინც რა უნდა, ისა თქვას. ამის ბაროზაზე იმოსახლებს და მტერი ქე მაინც ვეღარ გეიხარებს, შენმა სიცოცხლემ.

**მაქ.** მდიდარია ძალიან?

**ივანე.** იიმე, რავა გეკადრება! მთელ კანკასიაში მაგისი სახელი გავარდნილი, შენმა სიცოცხლემ. ხემწიფე რო მოვიდა, ხემწიფე ამას წინედ ქუთეისში, უმალ ეს იკითხა: ჩემი დიდებული აზნაურშვილი თეიმურაზი მამგვარეთო და, სანამდინ გვერდით არ მესვა, ლუკმა არ ჩეიდვა თურმე პირში, შენმა სიცოცხლემ

**მაქ.** (გაკვირვებული) ამას წინეთ ქუთაისში ხემწიფე არა ყოფილა!

**ივანე.** იიმე, აღარ დამახსოვრებია, თვარა კი იყო შენმა სიცოცხლემ.

**მაქ.** (თავისთვის) ამისთანა ცოცხალი ტყუილი გინახავთ?

**ივანე.** სასიმინდეები აქ იმხელა, რო ცხენი გაჰქანდება შიგ ახლა ბეღლებს არ იკითხამ. შენმა სიცოცხლემ ათათი წლის პური უყრია შიგ. ერთხელ ერთი ბეღელი ისე მივავიწყდა რო წვიმას ჩეეტანებია შიგ და იმხელა პური ამოსულიყო, რომ სანამდინ კრა-

## სახალხო თეატრის მოღვაწენი



რომ. სალაყაია

### რომანოზ სალაყაია

ხელობით მღებარი, თითქმის ოცი წელიწადია, სახალხო სცენას ემსახურება უანგაროდ, სრულიად უფასოდ. მონაწილეობს თბილისის ყველა სახალხო სცენაზე და ზოგჯერ პროვინციის სცენებზედაც, განსაკუთრებით ნიჭიერად ასრულებს იმერელთა კომიკურ როლებს.

---

მიტი არ ამოსწია, ვერ გევიგეთ, შენმა სიცოცხლემ. ახლა თავლას არა ბძანებ? ბევრს არ ვიტყვი და ქუთეისის ვეზდაში რაც ცხენი და საქონელი მოგროვდება, სწორეთ დეეტევა შიგ, შენმა სიცოცხლემ.

**მაქ.** (დიმაღით) რათ უნდა მერე ამდენი სარჩო და საქონელი? რაზე ახდენს, რატომ არ გაყიდის?

**ივანე.** იიმე, რავა გეკადრება. ესახელება და იმიტომ არ ყიდის! საწნახელი აქ ერთი იმხელა. რო ოცდაათი კაცი ჩადგება ხოლმე შიგ საწურავათ, შენმა სიცოცხლემ.

**მაქ.** (დიმილით) მერე ამხელა ხე სად მოჭრა?

**ივანე.** თავის მთაში. იმისთანა ხეები კი უდგია ბაკეში, რომე თამარ მეფეს თითო ხის ქვეშ მთელი თავისი ჯარით სადილი მიურთმევია, შენმა სიცოცხლემ. მაგის მარანში რო შეხვალ, სწორეთ გზა დაგებნევა. თითო ქვრია იმხელა, რომე თავს რო მოხდი, ზღვა გეგონება, ისე ღელამს შიგ სულ შუმი ღვინო, შენმა სიცოცხლემ. ბაბუა მაგისს რომ ერთი ორასკოკიანი ქვრი მივიწყებოდა, მაგის ქორწილზე წავაწყდით თავს უცაბედათ და სულ შუმი ღვინით იყო სავსე, შენმა სიცოცხლემ.

**მაქ.** (თავისთვის) ტყუვილი კი გამიგონია, მარა ამისთანა?

**ივანე.** ახლა ქვრებს არ იკითხამ? თითო ქვრის გარეცხას, ბევრი რომ არა ვთქვა, ასე ოცდაათი კაცი უნდება, შენმა სიცოცხლემ.

**მაქ.** მერე ერთათ ჩადის შიგ ოცდაათი კაცი?

**ივანე.** იიმე, ერთათ აპა, შენმა სიცოცხლემ. საარაკო რამეა მაგისი ცხოვრება, მარა ვინ ჩამოთვლის სულ. თითო დედალი გამოვა მაგის ბაკეში, შენმა სიცოცხლემ, თითო დედალი იმისთანა, რომე შორიდან რომ შეხედავ, ასე იტყვი: დედალი კი არა და კაი თორმეტი თვის მაკე ძროხა დადისო, შენ ნუ მომიკვდები.

**მაქ.** შე კაცო, თორმეტ თვის ძროხის მაკეობა ვის გაუგონია, ცხრა თვეზე მეტი არ ვიცი,

**ივანე.** იიმე, შენგან არ მიკვირს, ჩემო მაქსიმე, კაი ჯიშის ძროხა, კაი ჯიშის კანკარას თორმეტ თვეს არი მაკეთ, შენმა სიცოცხლემ.

**მაქ.** (თავისთვინ) ნამდვილათ გამაფშეკიებს ეს ოხერი ფეხებს ამდენი წყევლით, თუ თავს არ ვუშველე! (გაზეთებს აიღებს და გადის. ივანე გაივლ-გამოივ ის, ფანჯარაში იხედება, შემდეგ დივანზე წამოწვება. რამდენიმე ხანს სიჩუმე).

**თეიმ.** (გადმობრუნდება) ივანე, ივანე!

**ივანე.** ბატონო, შენი ჭირიმე.

**თეიმ.** ერთი წყალი დამალევინე. (ივანე წყალს ასმევს) სწორეთ კაი მასპინძელი იყო ჩვენი, ჩვენი სვიმონი.

**ივანე.** (თავისთვინ) იიმე. მაქსიმე ვერ დეისწავლა აქამდინ ამ ოხრის შექნილმა ცოდვა არ არი, რომ იმისთანა ბულკივით ქალს შენ ჯიჯგნიდე! (თეიმურაზს) ძალუანი პატივი გვეცა, თქვენმა სიცოცხლემ.

**თეიმ.** (წამოდგება) იიმე იიმე, ყველაფერი ჩინებული იყო, თუ მაგის მამულის იყო ის ღვინო, სწორეთ კაი ოჯახის შვილი ყოფილა, ჰა, ივანე

**ივანე.** აჰ, არა, ბატონო, იმერეთში იმისთანა ღვინო არ მოვა, ნაყიდი უნდა იყოს; კახურს რო იტყვიან ბატონო, კახურს, სწორეთ ის იქნება, თქვენმა სიცოცხლემ.

**თეიმ.** სწორეთ, სწორეთ თუ კაცი ვარ და ულვაში მსხმია, უნდა დავპატიჟო და სამაგიერო პიტივი ვცე ჩემ სასახლეში, ჰა ივანე!

**ივანე.** ურიგო საქმე არ იქნება, თქვენმა სიცოცხლემ. (შემოვა მაქსიმე. ანგარიში მოაქვს და თეიმურაზს აწვდის)

**თეიმ.** ეს რა არი ჩემო, ჩემო. . სვიმონ

**ივანე.** მაქსიმეა, ბატონო, მაქსიმე! (თა-

ვისთვის) რამ გამოაჩერჩეტა ეს ოჯახ დაქცეული ასე?

**მაქ** სულ ერთია. ეს ბატონო, ბუფეტჩიკს შჩოტი გამოუგზავნია.

**თეიმ**. ერთი წამიკითხე, რა შჩოტია, ჩემო, ჩემო .. სვიმონ.

**ივანე.** (ხელების ქნევით) იიმე, იიმე. ბატონო, რას დეიყინე ეს სვიმონი, როცა ამ პატიოსან კაცს მაქსიმე ქვია!

**თეიმ** ჰო, ჩემო მაქსიმე, ერთი წამიკითხე, რა არი?

**მაქ.** (კითხულობს) ოთხი ბოთლი ღვინო, ბოთლი სამი აბაზი, სულ თორმეტი აბაზი. ყველი და წვანილი სამი აბაზის. ზუთხი ორი მანათი; სუკის წვადი თორმეტი აბაზი. სულ შვიდი მანათი.

(თეიმურაზი და ივანე ერთმანეთს გაკვირვებული შეჩერებიან)

**თეიმ** ეს შვიდი მანათი რა არი ჩემო, ჩემო... სვიმონ!

**ივანე.** მაქსიმეა, ბატონო, მაქსიმე, მაქსიმე, მაქსიმე. (ხელებს აქნევს) იიმე!

**მაქ**. სულ ერთია. ეს ახლა რომ სადილი მიირთვით, იმისი შჩოტია. ბუფეტჩიკი თხოულობს ფულს, ბატონო!

**თეიმ**. მერე ვინ უნდა გედიხადოს, ჩემო, ჩემო... (იგონებს სახელს)

**ივანე.** (მიაძახებს) მაქსიმე.

**თეიმ**. ჰო, ჩემო მაქსიმე, ვინ უნდა გედიხადოს?

**მაქ.** თქვენ უნდა გედიხადოთ, ბატონო, აპა ვინ გედიხდის!

**თეიმ**. იიმე, იიმე, რავარი საქმეა ეს ივანე!

**ივანე.** რას მასხარობ, შე კაი კაცო, მთლად ხამებიც ნუ გგონივართ, შენ არ მამიკვდე.

**მაქ**. კი არ ვმასხარაობ, მართალს გეუბნებით. რისი ზაკაზიც მომეცით, მევიტანე და ახლა ბუფეტჩიკი თავის შვიდ მანეთს თხოულობს, ნაანგარიშევია აქ სულ, კი არ გატყუებთ (ანგარიშზე უჩვენებს)

**ივანე**. შე კაი კაცო, ზაკაზი სასმელი თუ საჭმელია, მე ისიც არ ვიცი. დაგვპატიჟე, გეწვიეთ; პატივი გვეცი, მადლობელი ვართ (თავს უკრავს); გვეწვევი, მაგიერ პატივსა გცემთ და ფულის გადახდევინება რაღა პატიოსნებაა! სტანციიდან ალარსად გაგვიშვი, თვარა მასპინძელი ბევრი გვყამს ყველგან.

**თეიმ**. ეს სულ იი... იასონის ოინებია იასონის. (ზეზე წამოდგება)

**მაქ.** (ივანეს) შენ, ჩემო ძმაო, რავა ხამათ ლაპარაკობ! შენც ღმერთმა შეგარცხვინა და შენი დამპატიჟებელიც. ნათლიმამა ხარ ჩემი, თუ ბიძაშვილი?

**ივანე.** ღმერთმაც შეგარცხვინა და ხატმაც შენც და შენი გვარის ვინც იყოს, ყველა, რას თავს იგდებ? ჩვენზე მეტი შენ შეხეთქე, შხამათ შეგარგოს ჩემმა გამჩენმა, და ახლა ჩვენ გვთხომ ფულს? ვისთანაც გაგისაღებია, ჩემო ნათლია, მაგისთანა იკლიკანტურები, ისევ იმასთან გაასაღე, თვარა ნამესნიკის და ღრუბენატრის კარები ჩვენთვინ დღეც ღიაა და ღამეც. საცა ფეხები გაქ იქ ამოგაყოფინებ თავს, მამიჩემის სული არ წამიწყდება! იიმე!

**მაქ**. რა სართის ხალხიც ყოფილხართ, კივიცი ახლა. დიდებული აზნაუშვილი კი არა კაი ჟულიკები და გაიძვერები ყოფილხათ, მარა ჩემთან მაგისთანა ოინები არ გაგივათ. არ გადიხდით, პოლიციას დაგასევთ თავზე და გიტირებთ დედას (ანგარიშს მაგიდაზე დააგდებს და გადის)

**ივანე**. იიმე, რავარი საქმეა ეს? მთლათ არ გაგვასულელა ამ ურჯულომ; მთლათ არ გაგვაცუცურაგა!

**თეიმ**. (დადის) სულ, სულ იასონის ოინებია, ეს სულ იმისი მოხერხებულია.

**ივანე**. მაშინათვე არ მექაშნიკა, შენმა სიცოცხლემ, სტანციაზე რომ დაგვეტაკა და ალარსად გაგვიშვა, ჩემთან მობრძანდითო, მარა ვიფიქრე: ალბათ გაუგონია თქვენი სახელი ან თვალში მევეწონეთ და ესახელება მეთქი ჩვენისთანა სტუმარი.

**თეიმ** გეუბნები, ივანე, იასონის, იასონის საქმეა ეს ყველაფერი. ყველგან უნდა თავი მამქრას, ყველგან.

**ივანე.** იიმე, ბატონო, ერთი სადილი და შვიდი მანათი, შვიდი მანათი ვას გაუგონია შენი ჭირიმე! სადღა გავამხილოთ სირცხვილით? შვიდ მანათით ჩვენში ერთ კაი ძროხას ვიყიდი და ქორწილს გედვიხდი. ქალაქში პორტმანის დაგდება იციან წინო, ეს

კი გამეგონა, მირა თუ ამისთანა ყალთაბანდობაც იქნებოდა, ვინ მეიფიქრებდა!

**თეიმ** იასონის საქმეა სულ, იასონის! გეუბნები, ის რაღაც თრეატრია, ისიც იმისი საქმე იქნება. არსად არ მა... მასვენებს, არსად.

**ივანე** მერე ზუთხი და წვადი ქე დაგვრჩა ცოტა და ის მაინც გამეთავებია,

**თეიმ.** (დადის) მაცა, მაცა იასონ, და არ შეგარჩენ, არ შეგარჩენ, თუ, თუ კაცი მქვია, კაცი

**ივანე** არა, ბატონო, თუ თქვენ ამას ხელიდან არ დავუძვერით როგორმე, ისე გაგვფცქვნის, რომ უკან დაბრუნება გაგვიჭირდება.

ვ. გუნია

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## საიათნოვას მეგლის წინაშე

წაკითხული სომხურად ავტორის—ჰაზირას მიერ 15 მაისს. დედანი დაწერილია სომხურად ქართული ასოებით.

სთარგმნა გ. შინატეხელმა.

საყვარლისგან დადაგულო,
მწარედ ქმნილო საიათნოვა,
ფიანდაზად გარდაშლილო,
რწმენის მსხვერპლო, საიათნოვა!

ენით ტკბილად მოუბარო,
ერის ავ-კარგის მკვლევარო,
მეჯლისისა მომლხენარო,
ცის მნათობო, საიათნოვა!

ასოცი წლის გარდაცვლილო,
დღემდის ხალხის გულში ზრდილო,
ქართველ მეფე ერეკლისა
საყვარელო, საიათნოვა!

აშულო და წმინდა მღვდელო,
ზომიერო, შორს-მხედველო,
ქართველ, თათარ, ისრაილის
მეგობარო, საიათნოვა!

როს შენს ლექსებს გასინჯავენ,
საფლავზე ვარდს დასთესავენ,
დღეის შემდეგ გიკითხავენ,
მოვლენ, გნახვენ, საიათნოვა!

თათრებმა სთქმეს: იაშა, იაშა!
ქართველებმა—ვაშა, ვაშა!
სომხის გულში რჩები მაშა
მუდმივ ცოცხლად, საიათნოვა!

ჰაზირ მღერით თავს გადგება,
უხარის, რომ არა რცხვება,—
სიმღერა შენგნით შესდგება,—
შენ უკვდავო, საიათნოვა!

**ჰაზირა**

## სიმართლე

### ფილარმონიულ საზოგადოების დაარსების შესახებ.

ვიღებ კალამს ხელში და ჩემდა უნებურად ვსწერ იმის შესახებ, თუ როდის, ვისი წყალობით და მეთაურობით დაარსდა თბილ. ქართული ფილარმონიული საზოგადოება. ღმერთია მოწამე, არა მსურდა ჩემ თავზე ლაპარაკი, მაგრამ გარემოება მაიძულებს ამ საგნის ერთხელ და სამუდამოდ გამოსარკვევად მოვიქცე ასე.

ჯერ კიდევ 1896 წ., როდესაც ბ. მ. ბალანჩივაძე მთელი ზაფხული ჩემთან იყო კახეთში, ხშირად მითქვამს მისთვის, რომ განზრახვა მაქვს დაარსდეს თბილისში ქართული ფილარმონიული საზოგადოება, და წესდების შედგენასაც უკვე შეუდექ მეთქი. ძალიან სასიამოვნოდ დარჩა ბ. ბალანჩივაძეს ჩემი სურვილი და აღმითქვა, რითაც კი შეეძლო დამხმარებოდა. 1897 წ. წესდება იანვრისათვის უკვე მზათა მქონდა, მხოლოდ ვეძებდი მომხრეთ, რომ საქმე განმეხორციელებინა. მომხრე-თანამგრძნობნი არა სჩანდნენ და საქმე ვერ განხორციელდა. ამ გარემოებით დაღონებული ერთხელ ჩაველი დიდად პატივცემულ ეპ. ლეონიდთან და მას ჩამოუგდე ამაზე ლაპარაკი. პატივცემული ეპ. ლეონიდი დიდად დაინტერესდა და მთხოვა მეჩვენებინა მისთვის წესდება. მეორე დღესვე წესდება ჩაუტანე. მესამე დღეს რომ ჩაველი, მითხრა: ძალიან კარგი და დიდებულია შენგან განზრახული საქმე და უეჭველად უნდა ეცადო როგორმე დაარსო ეს საზოგადოებაო, რომლის წევრადაც დიდის სიამოვნებით ჩავეწერები და ბევრ სამღვდელოპირსაც გიშოვი წევრადაო.

ამის შემდეგ არა ერთხელ მითხოვია გან-

სვენებულ ნ. ზ ცხვეთაძესათვის, დ. პ. ეპიტაშვილის თანადასწრებით, როგორმე შემიკრიბეთ ქართველი საზოგადოება, რომ გავაცნო წესდება და მათი დახმარებით საქმე დავიწყოთ მეთქი. განსვენებული სულ მპირდებოდა და საქმე კი არა კეთდებოდა. გავიდა კიდე რამდენიმე წელიწადი და იმედს მაინც არა ვკარგავდი, რომ ამ საქმეს განვახორციელებდი. და ბოლოს ჩემდა სასიამოვნოდ გაჩნდნენ თბილისში ა. ნ. ყარაშვილი, ზ. პ. ფალიაშვილი, განსვენებული გ. ი. ნატრაძე, ფ. ქორიძე და ვიფიქრე ახლა უეჭველად ამ საქმეს საკეთილოდ ეშველება რამე მეთქი. როდესაც 1902 თუ 1903 წ., კარგად არ მახსოვს, შევიკრიბენით, მე გამზადებული წესდებით წარვდექი კრების წინაშე და მათ ვაუწყე ყველაფერი. ამ კრებაზე იყვნენ: ა. ნ. ყარაშვილი, ი. კარგარეთელი, მღ. ი. ჩიჯავაძე, პ. მირიანაშვილი, მღ. ვ. კარბელაშვილი, გ. ი. ნატრაძე და მგონი ზ. პ ფალიაშვილი. (ბოდიშს ვიხდი, თუ მეხსიერებამ მიღალატა და ყველა ვერ დავასახელე). აქ დამსწრეთ ყველას გაუხარდათ და სთქვეს: ამ კაცს ჩვენზედ ადრე უფიქრია ფილარმონიულ საზოგადოების დაარსება, წესდებაც შეუდგენია და ჩვენ რაღა დაგვრჩენია. დავნიშნოთ რამდენიმე კრება, გადავსინჯოთ ეს წესდება, შევასწოროთ, დავუმატოთ თუ საჭირო რამ იქნება, და საქმეს შეუდგეთო. ამით გათავდა პირველი კრება. მეორე კრება ჩემსას იყო დანიშნული. კიდე რამდენიმე კრება მოხდა ჩემსას და წესდება ძველივე, ზოგიერთ მუხლების ჩამატებით დამზადდა. შემდეგ დავიწყე სიარული კარდაკარ ჩვენს წარჩინებულ პირებთან, რომ საპატიო წევრებად ჩაწერილიყვნენ და ხელი მოეწერათ წესდებაზე, რათა შემდეგ წარგვედგინა მთავარმართებელისთვის დასამტკიცებ- რამდენჯერმე მე, ზ. პ. ფალიაშვილი და განსვენებულ გ. ი. ნატრაძე ვეახელით დიდებულ მამულიშვილს აწ განსვენებულ დ. ზ. სარაჯიშვილს რათა საპატიო წევრად ჩაწერილიყო. განსვენებული სულ ამას გვეტყოდა ხოლმე, როცა საქმეს დაიწყობთ, მაშინ ჩავეწერები და ნივთიერადაც დაგეხმარებითო. ზაფხულში მე სოფლად წაველი და წესდება დაუტოვე გან. გ. ი. ნატრაძესა, რომ მას კიდე ხელი მოეწერინებინა ვისთვისმე. მაშინ უკვე 90-მდე საპატიო წევრი იყო ჩაწერილი. ისიც მალე წასულიყო სოფლად და ეს წესდება გადაეცა ი. კარგარეთლისათვის, რომელსაც კიდე რამდენიმე პირისთვინ მოეწერინებინა ხელი, რომელთა რიცხვში რუსებიც ერივნენ. ამის შემდე ბევრი დავიდარაბა გადახდა ჩვენს წესდებას, მაგრამ ყველა ამას მოევლო და 1905 წ. იანვრის ვგონებ ხუთში პირველი საზოგადო კრება გაიხსნა თბ სამეურნეო ბანკში, რომელზედაც დამტკიცებული წესდება წაიკითხეს, ახალი წევრები მიიღეს და ახალი გამგეობა ამოირჩიეს,—გამგეობის თავჯდომარედ—განსვ. **ი. ა. სულხანიშვილი,** წევრებად: **ზ. პ. ფალიაშვილი, გ. ი. ნატრაძე, ა. ი. ყანჩელი, ა. დ. ჩიჯავაძისა,** განსვ კნ. **ს. დ. დიასამიძისა, ა. ნ. ყარაშვილი,** ი. ა. **ბარათაშვილი** და თქვენი უმორჩილესი მონა. აი მოკლე ისტორია თბ. ქართ. ფილარმონიულ საზოგადოების დაარსებისა.

მე ვგონებ ზემოხსენებულნი პირნი დამემოწმებიან, რომ ყველა აქ ნათქვამი მართალია.

რაც შეეხება »სანთურის« დაარსებას, ის მართალია ბ. ი. კარგარეთელის მეთაურობით იყო დაწყობილი ფილარმონიულ საზოგადოების საწინააღმდეგოდ, მაგრამ ვიცოდით, რომ დიდი მანძილი არ ექნებოდა და ასეც მოხდა. ფილარმონიული საზოგადოება კი აღორძინდა, გაიზარდა, აქვს საკუთარი სკოლა, სადაც ორასამდე მოწაფე სწავლობს, აქვს საკუთარი გამოცემანი, ჰყავს საკუთარი გუნდი, ინვენტარი 6000 მან. მეტი და წლიური შემოსავალი 16 ათას მანეთს აღემატება.

**ზ. ი. ჩხიკვაძე.**

## ქართული სახალხო თეატრის ისტორია

(დასაწყისი იხ. „თ. და ც." № 10—11)

ამავე 1884 წ. ახალგაზდა ხელოსნები, უფრო სახელოსნო სასწავლებლის მოწაფენი, დიდის გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდენ პატარა-პატარა წარმდგენების გამართვას. ამ ახალგაზდების მიზანი იყო წარმოდგენებიდან

შემოსული ფულით წიგნების შეძენა თვითგანვითარებისათვის. ამ დროს მდაბიო ხალხი ჯერ კიდევ ალმაცერად უყურებდა თეატრს და განსაკუთრებით მუშტი-კრივ-ლოტარიებით ერთობოდა, რომლებიც თითქმის ყოველ კვირა იმართებოდა — მუშტი-კრივი „ჭირიან ხევში“ — არსენალთან და ლოტარიები სხვადასხვა უბნებში სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთაგან შემდგარმა წრემ დიდის გულმოდგინებით დაიწყო წარმოდგენების მართვა. წარმოდგენები იმართებოდა კუკიაში, მეორე კვირაცხოვლის ქუჩაზე — მეტრეველის სახლში, ჩუღურეთში — გონჩარნი ქუჩაზე თოიძის სახლში, და ავლაბარში შამხორის ქუჩაზე, მეტეხის ციხის ზემოთ — ბაჟბეუქ-მელიქოვის სახლში. პირველად ასეთ გამართულ წარმოდგენებს შინაური ხასიათი ჰქონდა და შეიძლება ითქვას უმაწვილურიც. პიესებიდან ისეთ ადგილებს თამაშობდენ, რომლებსაც უფრო ადვილათ შესწვდებოდენ და დეკორაციებიც ხელს შეუწყობდა. დეკორაციებს უხატავდათ მხატვრობის დიდი მოყვარული მოსე თოიძე.

ასე თანდათანობით, ფულის შემოსავლით წახალისებულნი შინაურ წარმოდგენების გარდა, პიესებს სდგამდენ კიდევ მახვილის პროსპექტზე — „ვაზა“-ს ბაღში, შემდეგ ქართულ თეატრშიაც გამართეს ერთი-ორი წარმოდგენა.



ძველი სცენის მოყვარენი

გიგო თოიძე (სდგას), ილიკო ქოჩორაშვილი (მარჯვნივ), ალექსანდრე მერაბიშვილი (შუაში), მოსე თოიძე (მარცხნივ) და მისგან დახატული დეკორაცია და შოთა რუსთაველის სურათი.

მაშინ ამხანაგობაში შედიოდენ: 1) გიგო თოიძე, 2) მოსე თოიძე, 3) ვანო მჭედლიშვილი, 4) ეჯუბოვი, 5) ალექსანდრე მერაბიშვილი, 6) ზაქარია ჩოდრიშვილი, ილია ქოჩორაშვილი, 7) ვანო ბუზარიაშვილი, 8) იოსებ მეტრეველი, 9) სარაჯოვი, 10) ოსიტოვი კაპლო, 11) ბაჟბეუქ-მელიქოვი, 12) კოტე დამბროვსკი, 13) ივანე ბერიანიძე და სხვა. გარედან ეხმარებოდენ დათა კაპანაძე, მისი და ბაბო, ვარინკა გიორგობიანი, მიშო ვაშაკიძე. მაშინდელი რეპერტუარი იყო: „ძუნწი“, „კატა აწონა“, „არსენა“, „რაც გინახავს - ვეღარ ნახავ“, „უჩინ-მაჩინის



ძველი სცენის მოყვარენი

ნიკო სირაძე (მარჯვნივ), მიშა მეტეხელი (შუაში), ვანო დოლმაზიშვილი (მარცხნივ).

ქუდი“ და სხ. იმ დროს ქალის შოვნა სცენისათვის ძალიან ძნელი იყო, სასირცხვილოთაც მიაჩნდათ სცენაზე გამოსვლა და ამიტომ კაცებს უხდებოდათ თამაში ქალის როლებში. წარმოდგენებს ხალხი ძრიელ ბევრი ესწრებოდა და სცენის მოყვარეებს ტაშის ცემით აჯილდოებდა. ბილეთების ფასი იყო 20 კ. — 5 კ. მაგრამ იყვნენ ისეთი კეთილი ადამიანებიც, რომლებიც ბილეთის ყიდვის გარდა ისედაც ეხმარებოდენ ფულით, რაკი ესმოდათ, რომ იმ შემოსავლით წიგნები უნდა ეყიდნათ და აზრად ქონდათ სამკითხველოს გახსნა; გაზეთი „ივერიაც“ ადნიშნავდა ხოლმე პატარა რეცენზიებში ამ წარმოდგენებს. საქმე ნელ-ნელა წინ მიდიოდა და ამხანაგობის რიცხვსაც თანდათან ემატებოდა. ამ ამხანაგობას კიდევ მიემატნენ გიორგი დიმიტრის ძე კანდელაკი, ადამ ადამიძე, სანდრო თამაზოვი,



ადამ ადამიძე



ლიზა ვაშაკიძე

გიგო გელიკურაშვილი, სანდრო ბაქრაძე, ვასო დოლმაზაშვილი (მოცეკვავე), აბრამა ცქიმანაური, ნიკო სირაძე, მიშა მეტეხელი (ქალების როლებს ასრულებდენ) და სხვა. ამ ამხანაგობას ძრიელ ეხმარებოდენ წიგნებით და პიესებით: გრიგოლ ჩარკვიანი, შარაშიძე და ზაქარია ჭიჭინაძე. ასე იარსება ამ ამხანაგობამ 1887 წლის დამლევამდის და ბოლოს დაიშალა. ამავე 1887 გაიმართა ავლაბარში რამდენიმე წარმოდგენა ქ-ნ ლიზა ვაშაკიძისა და წერეთლის მეთაურობით. წარმოდგენები იყო აქაც, კერძო სახლებში სულ ცოტა ხანს, და ბოლოს შესწყდა.

გ. ჯაბაური

(გაგრძელება შემდეგ)

## სახალხო თეატრი თელავში

შეიძლება მკითხველს ეგონოს თელავში სახალხო თეატრი გახსნეს და წარმოდგენების მართვა სასურველ კალაპოტში ჩადგა. არა. ეს ასე არ არის, თუმცა სურვილი გადაუდებელია, საჭიროებ, როგორც „თეატრი და ცხოვრების" № 11-ში აღვნიშნე, დიდია, მხოლოდ ეს დიდი ხნის განძრახული საქმე აქამდე თუ სიტყვით გამოიხატებოდა, ახლა სიტყვა საქმეზე გადადის.

ჯერ ისევ ამ 10—15 წლის წინედ თელავში შესდგა წრე, რომელსაც უნდა ეთავა სახალხო თეატრის აშენება. ამ წრეს, თუ არა ვცდები, ერთი-ორჯელ კრებაცა ჰქონდა, წარმოდგენაც გამართა და 250 თუ მეტნაკლები მანათი შეკრიფა თეატრის ფონდათ. განძრახული იყო ფონდის სასარგებლოდ სისტემატიურად წარმოდგენების მართვა. როდის დაიწყო ამ წრემ მოქმედება, ან ვისგან შესდგებოდა იგი, სწორე ცნობები არა მაქვს, მხოლოდ ეს-კია, რომ ძრიელ მალე მოსპო მოქმედება, ხოლო ხელში შეგვრჩა ის ფული, რომელიც თელავის ბიბლიოთეკის სახელობაზე იქმნა შეტანილი აქაურ შემნახველ კასაში.

მას შემდეგ სახალხო თეატრზე ადარავის უფიქრნია, რომ მისი აშენებით შესაძლებელი გამხდარიყო თელავში იაფ-ფასიანი წარმოდგენების სისტემატიურად მართვა. როგორი ხელის შემშლელი პირობებია ამ მხრივ თელავში, ეს უკვე გავაცანი მკითხველს წინა წერილში. სხვას რომ ყველას თავი დავანებოთ, აქ შაბათ-კვირაობით ყოვლად შეუძლებელია წარმოდგენები, რადგანაც კლუბს არ იძლევიან და სწორედ უქმე დღეს-კი დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის დასასწრებლად.

ახლა სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ექიმ გ. ხირსელს გადაუწყვეტია სისრულეში მოიყვანოს დიდი ხნის განძრახული საქმე. უპირველეს ყოვლისა საჭიროა შემდგარიყო რაიმე საზოგადოება, რომ ოფიციალური ხასიათი მისცემოდა. ამისთვის ბ. ხირსელს სხვებთან ერთად აღუძრავს შუამდგომლობა თელავში სახალხო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, რომლის ნებართვის მიღების უმალვე მოახდენენ დიდ კრებას გამგეობის ასარჩევად. გამგეობის უპირველესი მიზანი თეატრის აშენება იქნება.

რასაკვირველია, ვინც-კი იცნობს ჩვენ საზოგადო ძალთა განწყობილებას, ადვილი არაა შენობის აშენება, მაგრამ თუ-კი სურვილი და ენერგია იქნება, შეუძლებელიც არაფერია...

ამ საქმეში ექ. ხირსელის გარდა, დიდ მონაწილეობას იღებს ქართ. დრამატიულ დასის მსახიობი ქ-ნი თ. გოგოლაშვილი და იმედია თელავის საზოგადოებაც სიამოვნებით მიეგებება ამ დიდ საქმეს და ხელს შეუწყობს მის სასურველად დაგვირგვინებას.

დავიწყებული

## დ. ახალ-სენაკის თეატრი

ბევრი რამ დაწერილა და თქმულა ადგილობრივი თეატრის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ, მაგრამ საკრებულოს წევრებს ამ ჩივილისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ, საქმის გასაუმჯობესებლად კრინტიც არ დაუძრავთ და ყოველივე მოწოდება დარჩენილა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“.

ახალ-სენაკში, ამ მოზდილ დაბაში, არის ორი კულტურული დაწესებულება: სამკითხველო და თეატრი. მეტია იმაზე საუბარი, თუ რა სარგებლობა მოაქვს სამკითხველოს, რაოდენ კულტურულ ძალას წარმოადგენს ქართული თეატრი ჩვენთვის. ეს ყველასთვის ცხადია, ვინც კი ჟურნალ-გაზეთებს თვალყურს ადევნებს. იმასაც ვხედავთ, რომ საქართველოში ქართული თეატრის საქმე ძლიერდება, ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში

იმართება წარმოდგენები, შენდება სათეატრო დარბაზები და თვით ხალხიც დიდის გულ-მოდგინებით ეტანება თეატრის საქმის გაძლიერებას. ხალხის მეცადინეობით აშენდა სათეატრო დარბაზები დ. ლანჩხუთსა, ოზურგეთსა და თვით აგარაკ ბახმაროზედაც. ამ დაბებს არ ჩამორჩება დ. ახალ-სენაკი, მაგრამ ამ დაბის თეატრის უნუგეშო და გაჭივრებულ მდგომარეობას არაფერი ეშველა: პატარა ოთახი, დამტვრეული ფანჯრები, ოცამდე ფეხმომტვრეული სკამი, პატარა სცენა, რომელზედაც 12 კაცი ძლივს ეტევა, არავითარი დეკორაცია, ერთი ოთახი და ორი დახეული ფარდა,—აი როგორია ახალ-სენაკში თეატრი; ამას დაუმატეთ ის უწესოება, ლანძღვა-გინება, რომელიც აქ ხდება, ყოველი წარმოდგენის მართვის დროს და ნათლად წარმოგიდგებათ ჩვენის თეატრის მესვეურთ უქნარობა. ნუ თუ, ბ-ნნო წევრნო, იმიტომ ხართ არჩეული წევრებათ, რომ მხოლოდ სახელს ატარებდეთ, და საქმეში კი სრული გულციობა გამოიჩინოთ? დროა ბოლო მოუღოთ დაუდევრობას, გამოიჩინოთ ფხა, შეიგნოთთ ქვენი მოვალეობა და შეერთებული ძალით შეუდგეთ ამ საქმის გაუმჯობესებას, სწორ გზაზე დაყენებას.

**გ. ანაშვილი**

## წვრილი ამბები

**სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის** სხდომები სრული ერთი კვირა გაგრძელდა; სხდომებზე ბევრი საგულისხმო დადგენილება შეიმუშავეს, დამსწრე წევრთ საპატიო თავმჯდომარის მხცოვან მგოსნის აკაკისა და პრეზიდიუმის წევრებთან ერთად სურათი გადიღეს. მეორე ყრილობა შესდგება ორი წლის შემდეგ, 1916 წ., ქ. ქუთაისში.

**შალვა დადიანი**, ბათუმის დასის რეჟისორ-მსახიობი, ბაქოს დასის რეჟისორად იქმნა მიწვეული. აქვე მიიწვიეს ქ-ნი ელო ანდრონიკაშვილი.

**მუსიკოსი დ. არაყიშვილი** საზაფხულოდ პატარა-ცემს გაემგზავრა 20 ივნისს.

**ვალ. გუნიას** მეთაურობით შემდგარი დასი საგასტროლოდ პროვინციისკენ გაემგზავრა. დასში 12 ქალ-კაცამდეა. დასდგავენ: „მუშის პატიოსნება“-სა და „ოჯახის გაუბედურებას“.

**თელავსა და სიღნაღში** ივნისის ბოლო რიცხვებში ი. გრიშაშვილისა, გ. ვიქტორელისა და ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით გაიმართება სამხიარულო საღამო-წარმოდგენები,

**შალვა დადიანმა** თავის დასით გასულ კვირას ქართ. თეატრში წარმოადგინა, „ვინ არის დამნაშავე“. საზოგადოება ბლომად დწესწრო. რეცენზიას შემდეგ დავბეჭდავთ.

**ახალგაზდა მომღერალი გ. ღვინიაშვილი** თვის ხმის სრულსაყოფელად ამ ზაფხულს იტალიის აპირებს გამგზავრებას, ხოლო წასვლის წინ გამართავს ერთ კონცერტს თავის სასარგებლოდ.

**ვლ. ალ.-მესხიშვილი** საგარაკოდ ბორჯომს წავიდა.

**მივიღეთ ახალი წიგნები**: 1) „საბავშო თეატრი“, „ჯეჯილი“-ს რედაქციის გამოცემა 1913 წ. წიგნში ოთხი საბავშო პიესაა: ა) „დგმური“ ვოდ. 1 მოქ. თარ. ან. ოცხელისა. ბ) „მგელი, თხა და ციკანი“, ვოდ. 1 მოქ. გ) „პეტრიკა მოიწამლა!“, კომ. 1 მოქ. დ) „ტყუილს ტყუილი მოსდევს“, კომ. 2 მოქ.,—სამივე თარგმნილია ფრანგულიდან ან. წერეთლის-მიერ. წიგნი შეიცავს 68 გვ. ფ. 10 კ.

2) „ლექსები“, ბ. ვ. ას. ხერხეულიძისა, 1902—1914 წ-დე და 1885—1901 წ-დე, ავტორის გამოცემა, 1914 წ., 31 გვ., ფ. 15 კ.

3) „გიორგი სააკაძე და მისი დრო“, მ. გ. ჯანაშვილისა, თბ. 1914 წ. 52 გვ., ფ. 25 კ.

4) „Каталогъ предметамъ музея груз. Дух-ва, сост. М. Г. Джанашвили, изд. Ком. Церк. Музея Груз. Дух-ва, № 18, 1914 г., 106 ст., Ц. 1 р

5) „გიორგი ქუჩიშვილი“, პირველი (ლექსები) და მეორე (მოთხრობები) წიგნები, გამოცემა ი. ი. ჩიტოშვილისა, ავტორის სურათით, ბიოგრაფიით და კრიტიკული მიმოხილვით. პირველი შეიცავს 158 გვ., მეორე—151 გვ. ორივე წიგნი გამოცემულია ლაზათიანად, დაბეჭდილია „ნადეჟდა“-ს სტამბაში. ფასი არ აწერია.

**პირველი ქართული წარმოდგენა** სარიყამიშში გამართეს 7 ივნისს მსახიობებმა ნ. გვარაძემ, ი. ჟივიძემა და ნ.ჩაგუნავამ.

**სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობას** გარეშე ხალხის გარდა, დაესწრო 236 წევრი.

**მგოსანმა კ. ბალმონტმა** უკვე გადათარგმნა „ვეფხის ტყაოსანის“ შესავალი, 16 ტაეპი, და გამოუგზავნა თამარა როს. ყანჩელისას. თარგმანი დედანს ძლიერ უახლოვდება და საუცხოო ლექსებითაა გადაღებული.

**დღეს დილით ვ. ი. კოტეტიშვილი** თბილისის სამუს. სასწავ. საკონცერტო დარბაზში (გრიბოედოვის ქ.) წაიკითხავს მეტად საგულისხმო ლექციას—„სიმახინჯე, როგორც სახე მე-XIX-ე საუკ. ქართველისა დღევანდლამდის“. ლექციის დაწვრილებითი შინაარსი აფიშებშია. დასაწყისი დილის 12 ს. ფასი 50 კ-დან 10 კ-დე. დილას გამგეობს ბ. ახოსპირელი.

**გასული კვირის ნომერში** მოთავსებულ სამ სურათს (ვ. ბარველის, ან. წერეთლის და დ. აწყურელის) უნდა სწერებოდა: ჩვენი მთარგმნელნი.

**შესდგა მოძრავი დასი** ახალგაზდა მსახიობთაგან. ამხანაგობაში ირიცხებიან: ქ-ნნი: ა. ჩარკვიანი, ა. კავთელი, ვ. მარგველაშვილი; ბ-ნნი: ვ. ალუღიშვილი, ნ. გვარაძე, ნ. ჩაგუნავა, ი. ჟივიძე, ი. თარალაშვილი და სხ. წარმოდგენებს გამართავენ სიღნაღსა და მის მაზრის სოფლებში, სადაც მოსახერხებელი იქნება. გზად გავლით თითო წარმოდგენას გამართავენ გარე-კახეთის სოფლებში.

**რედაქცია მოუცლელობისა გამო** კერძო მიწერ-მოწერას ვერ კისრულობს.

**კ. მესხის გარდაცვალებიდან** ორმოცის დღის თვის წირვა-პანაშვიდი დანიშნულია დღეს ქვაშვეთის ეკლესიაში, დღეს 9-12 ს.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

# ხარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში.

დღეს, კვირას, 22 ივნისს

## სინემატოგრაფი, მუსიკა და ცეკვა

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან 25 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

ქალები და სტუდენტები შესვლის ფასს არ იხდიან

კლუბი ვრცელი და ყოველმხრივ მოწყობილია ბაღი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობითათვის.

კლუბში გაიმართება ხოლმე **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო** და **ვოკალური საღამოები** და აგრეთვე **სახალხო სეირნობანი.**

---

# ადსასრული ადამიანის ტანჯვისა
## სუსუნატის წამლობა.

4 წ. გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი **„რაპიდი“** გასასყიდად გამოვიდა სამკურნალო, საბჭოს ნებართვით № 1295, სუსუნატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავადმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ **„რაპიდ“-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს, ამისთანა შემთხვევა არ არის;** ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა, ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნატის მოსარჩენად, **და „რაპიდ“-ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.**

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნატის (გონორეი) წინაალმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდათ ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ეჭვის თვალით შეჰხედონ ჩემს წამალსაც.—ამ შემთხვევაში მათს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რომ ჩემი რწმენა „რაპიდ“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, იმის დასამტკიცებლად ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ **„რაპიდ“-ის** ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი., რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანავე დავუბრუნებ.

**ნიმუში ჩემის ხელწერილისა:**

„მე, ამისა ქვემორე ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამასა და ამას) იმაში, რომ მივყიდე რა მას ჩემი „რაპიდ“-ის ორი ფლაკონი, სუსუნატის წინაალმდეგ, თავდები ვარ, რომ 20 დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დავუბრუნო“ (ხელ. მოწერა.)

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრ განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები მაქვს, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ. თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, **ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.**

წერილი მე—9-ე მ. ხ! დიდად და დიდად გმადლობთ თქვენის წამლის „რაპიდ“-ისათვის. ვეცდები ეს წამალი ვურჩიო ჩემს ნაცნობებსაც და ამითი დაგიმტკიცოთ ჩემი მადლობა.

თქვენი პატივისცემელი ვ. მ. ს. ქალ. როვნო.

წერილი 20-ე მ.ხ. ბ-ნო დელამურე! ამით პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ არასოდეს არ მოველოდი ისეთს შედეგს, რასაც მივაღწიე. ბევრნაირი წამალი ვცადე მაგრამ უნაყოფოდ. ეხლა კი ყველა ჩემს ნაცნობებს, ვინც ამ სნეულებით იტანჯება, ვურჩევ თქვენს პრეპარატს „რაპიდ“-ს, რომლის წყალობითაც სრულებით განვიკურნე ამ სნეულების ყველა შედეგებისაგან, გულწრფელის პატივისცემით პ. ც. ქალ. სევასტოპოლი.

ფასდადებით და გაგზავნით 9 მ.ფასდადებით იგზავნება მხოლოდ 3. მან. გამოგზავნის შემდეგ.

გთხოვთ შეკვეთისა და ცნობებისათვის მიჰმართოთ:

**თბილისში ჩემს წარმომადგენელს კ. აკოპიანს, ლორის-მელიქოვის ქ., № 16, 13,**
სახელმწ. ბანკის პირდაპირ, დილის 11—2 ს. და საღ. 5—7 ს. აგრეთვე ისყიდება ძმ. ტერტეროვების აფთიაქში, ნეკრასოვისა და რაზიეზდის ქუჩ. კუთხეში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

პატივისცემით **მ. დელამურე.**

მოსკოვი. ნეგლინის მისახ. № 14, № 4.

# ექიმები:

**ა. ლ. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)

შინაგან ავადმყოფობათა.

დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.

წყნეთის ქ., № 19.

---

**კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.

გოლოვინის პრ., № 12.

---

**ვ. ღ ლამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ვარდის უბნის ქ. № 9.

---

**ნ. ე. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.

კიროჩნი ქ. № 18

---

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

---

**გ. ფ. ნათიშვილი**

კანისა, ვენერიული და სიფილისისა.

დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

---

**ა. ნ. ღიასამიძე**

(ორდინატორი თბილისის სარკინის გზო საავადმყოფოსი)

კანის, ვენერიული და ათაშანგისა.

შუადღით 1—$2^1/_2$ ს., საღამოთ 6—8 ს.

მოსკოვის ქ. № 4.

---

**ივ. გ. გომართელი**

შინაგან ავადმყოფობათა

**1 ივნისიდან**

**ბორჯომში**

---

ექ. ვახტანგ ლამბაშიძის

# სანატორიუმი

**პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე**

**ქალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე**

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ლამბაშიძე**

ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

---

**ხელოვნურად — სამკურნალოდა — შეზავებული — ხილეულობის წყალი**

# მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან. წმინდა შაქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისთვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობ ილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 4-11, ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.

(20—15)

---

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

**სინათლე** ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. **ი. გედევანიშვილისა**, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით. **ფ. 30 კ.** ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Iосифу Имедашвили.

(10—1)

---

**ახალი წიგნი**

ლექსები, სცენები და მოთხრობები

**ა. მ. ახნაზაროვისა**

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. **60** კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(5—1)


---


სტამბა „სორაპანი“ Типографія „Сорапань“